საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№14 (6389) 2 თებერვალი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავდაცვის ფონდში

ეროვნული თავდაცვის ფონდში თავიანთი შემოწირულობები შეაქვს რაიონის მოსახლეობას. ამას წინათ **ალპანის სამკერვალო ფაბრიკის** შრომითი კოლექტივის თითოეულმა წევრმა გაიღო ფონდში გადასარიცხი თანხა, რამაც სულ 285 მანეთი შეადგინა.

სამაჩაბლოში, ჩვენი მიწის მთლიანობის შენარჩუნებისათვის მებრძოლ ქართველ მილიციელებს სასურსათო პროდუქტები გაუგზავნეს აღნიშნული საწარმოს მუშამოსამსახურეებმა.

თავდაცვის ფონდში თავიანთი წვლილი შეიტანეს ასევე ცაგერის **პროფესიული სახანძრო ნაწილის** მუშაკებმა, რომლებმაც 280 მანეთი გადარიცხეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

29 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა განაგრძო. მისი მორიგი სხდომა გახსნა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

ინფორმაცია ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი, სამანდატო კომისიისა და სადეპუტატო ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბიძინა დანგაძემ.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვას. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა დეპუტატმა გიორგი გულბანმა, თანამოხსენება გააკეთა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გივი თალაქვაძემ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე. მიღებულია აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოების არჩევნების შესახებ კანონის პროექტზე გააკეთა პოლიტიკური ორგანიზაციის „დასის" თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ხმალაძემ. განხილვის შემდეგ დეპუტატებმა მიიღეს ეს კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღებისა და საკრებულოების არჩევნების დანიშვნის თაობაზე. არჩევნები დანიშნულია 1991 წლის 31 მარტისათვის.

სესიამ განიხილა რეფერენდუმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი. და მიიღო ეს კანონი, აგრეთვე დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას, რომელმაც დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა.

უზენაეს საბჭოში ამომრჩეველთა მიერ გამოგზავნილი მრავალი თხოვნის შესაბამისად, სამაჩაბლოს მდგომარეობის შესახებ სესიაზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

სესიაზე წამოიჭრა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის შესახებ (წინა დღე), ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიათი" გადმოცემული ინფორმაციის საკითხი, რომელშიც უხეშად იყო დამახინჯებული ფაქტები. ეს ინფორმაცია უარყო დეპუტატმა გივი თალაქვაძემ.

1991 წელს საქართველოს შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის რიგებში წვევამდელთა გაწვევისა და შესაბამისი დროებითი დებულებების საკითხებზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ხავთასი. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნისა და მსაჯულების არჩევნების მოწყობის საკითხი, და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესმა საბჭომ მოისმინა და ბლიკის უზენაესი სასამართლოს დაამტკიცა საქართველოს რესპუ- თავმჯდომარის მინდია უგრეხელიძის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის არჩევისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 1990 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ.

* * *

30 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ განაგრძო თავისი მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა.

„საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საკითხზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

ცნობად მიიღო რა წარმოდგენილი დებულება, უზენაესმა საბჭომ თავის შესაბამის მუდმივ კომისიებს დაავალა დაჩქარონ საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონის შემუშავება.

შემდეგ სესიამ განიხილა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა შეტანისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონპროექტები.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე. პირველი წაკითხვით მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც გააკეთა ინფორმაცია სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების გამო, სიტყვა მისცა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს დილარ ხაბულიანს. მან წარმოადგინა ვრცელი ინფორმაცია, თუ როგორ მოქმედებს საქართველოს მილიცია საგანგებო მდგომარეობის რეგიონში, სადაც ურთულეს პირობებში იცავს მოსახლეობის ინტერესებსა და უშიშროებას, ახსნა რეგიონიდან იქ დამატებით შეყვანილი მილიციის კონტიგენტის ცალკეული ქვედანაყოფების დიდი ნაწილის გამოყვანის მიზეზები. მინისტრმა უპასუხა დეპუტატთა კითხვებს. აღინიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო ცხინვალის ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი. დიალოგის დროს, კერძოდ, გამოითქვა წინადადება, რომ შეიქმნას სამაჩაბლოდან ლტოლვილთა რესპუბლიკური სამთავრობო კომისია. რაც შეეხება მილიციას, იგი კვლავ გააგრძელებს მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებათა დაცვას საგანგებო მდგომარეობის რეგიონში.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრიობის ინტერესების დაცვის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

სესიამ განიხილა მუდმივი სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა დასაქმების შესახებ, და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ ამ რესპუბლიკის კანონის გამო გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. აღინიშნა, რომ ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე რომელიც მუდმივად ცხოვრობს აჭარაში. ამავე დროს, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად ასეთი უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრების მუდმივი ადგილის მიუხედავად.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც ცნო, რომ იურიდიული ძალა არა აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ ამ რესპუბლიკის კანონის დებულებას, რომელიც ზღუდავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლებას, იყოს არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინადადება მიეცა, გადადოს არჩევნები და შეუსაბამოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

სესიამ მოისმინა უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ტარიელ გელანტიას ინფორმაცია. და მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შეჩერების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგინებით უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ განიხილა მომავალი საკავშირო რეფერენდუმის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღოს საქართველოს რესპუბლიკამ და მოეწყოს რესპუბლიკური რეფერენდუმი ამავ წლის 31 მარტს, რომლის დროს საქართველოს მოსახლეობა გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხისადმი.

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა არჩილ ჭირაქაძე.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის

მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ურთიერთობა განისაზღვრება შინასამეურნეო ანუ სანარდო საიჯარო ურთიერთობათა შემდეგი წესით:

1. შინასამეურნეო ანუ სანარდო იჯარის ძირითადი პრინციპია მეიჯარესა (მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების იჯარით გამცემი) და მოიჯარეს (მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების იჯარით მიმღები) შორის ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა, რომლის დროსაც დაცული უნდა იქნეს სამი ძირითადი პირობა:

—მოიჯარისათვის პროდუქციის მიყიდვის მოცულობის დადგენა კალენდარული ვადის, ხარისხისა და სახეების მიხედვით;

—მოიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების მიწოდებისა და მომსახურების გაწევის კალენდარული ვადის დადგენა;

—მისაყიდი პროდუქციის, მოხმარებული მატერიალური საშუალებებისა და გაწეული მომსახურების სახელშეკრულებო ფასების განსაზღვრა.

2. მოიჯარე შეიძლება იყოს შრომითი კოლექტივი, საწარმოს სტრუქტურული ერთეული (ფერმა, ბრიგადა, საამქრო, რგოლი და ა. შ.) ოჯახი, მოქალაქე.

3. მეიჯარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით გადასცემს მოიჯარეს მიწას და წარმოების სხვა ძირითად საშუალებებს, მისგან კი სანაცვლოდ ყიდულობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროდუქციას სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო) ფასებით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ზევით წარმოებული პროდუქცია მოიჯარისაა და იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

4. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები ოდენობის პროდუქციის მიყიდვის შემთხვევაში მოიჯარე დანაკლისს ანაზღაურებს წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე მოიჯარეს არ შეუსრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, (მატერიალური ფასეულობების მიწოდება და მომსახურების გაწევა), იგი მოვალეა ამ მატერიალური ფასეულობების მიწოდება და მომსახურების ღირებულება აუნაზღაუროს მოიჯარეს ასევე წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასებით.

5. მეიჯარე მოიჯარეს უწევს საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებას, ამარაგებს თესლით, სასუქებით, ფურაჟით, საწვავ-საზეთი და სხვა მასალებით, რომელთა საფასურსაც ახდევინებს სახელშეკრულებო ფასით. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის ღირებულებასა და მეორე მხრივ გაწეულ მომსახურებასა და მიწოდებულ მატერიალურ საშუალებათა ღირებულებას შორის სხვაობა წარმოადგენს მოიჯარის შემოსავალს, რომელსაც იგი იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

6. სარეალიზაციო და სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო) ფასთა შორის სხვაობა წარმოადგენს მეიჯარის მოგებას, რომლიდანაც მეიჯარე ქმნის ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს და იხდის ყოველგვარ გადასახადს.

7. იჯარის დროს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით წარმოების თავისებურებებიდან და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე.

8. მოიჯარეზე (შრომითი კოლექტივი, საწარმოს სტრუქტურული ერთეული—ფერმა, ბრიგადა, რგოლი და ა. შ., ოჯახი, მოქალაქე) იხსნება პირადი ანგარიში ორ ცალად—ერთს აწარმოებს მეიჯარე, მეორეს კი თვით მოიჯარე, რითაც ხორციელდება ურთიერთკონტროლი. პირად ანგარიშში ყოველთვიურად შეიტანება მონაცემები გაწეული ხარჯებისა და მიყიდული პროდუქციის შესახებ.

9. მრავალწლოვან ნარგავებში (ჩაი, ციტრუსი, დაფნა, ტუნგი, ხეხილი, ვენახი და ა. შ.) იჯარით მომუშავე კოლექტივს, საწარმოს სტრუქტურულ ერთეულს, ოჯახს, მოქალაქეს მიზანშეწონილია სრულმოსავლიან ნარგაობასთან ერთად მიემაგროს ახალგაზრდა მრავალწლოვანი ნარგავები, რომელთა გაშენებისა და მოვლისათვის გაწეული ხარჯები აღირიცხება ცალკე.

ამასთან ახალგაზრდა მრავალწლოვანი ნარგაობიდან სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე მიღებული პროდუქციის ნაწილი, რომლის მოცულობაც ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული, უნდა მიეყიდოს მეიჯარეს, ხოლო მოიჯარის შრომა ანაზღაურდეს მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებისა და მოვლისათვის დადგენილი წესით.

მრავალწლოვანი ნარგაობის სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე ხელშეკრულების ზევით მიღებული პროდუქცია მოიჯარისაა და მის რეალიზაციას ახდენს თავისი შეხედულებისამებრ.

10. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასებმა უნდა უზრუნველყოს პროდუქციის წარმოების გადიდებით მოიჯარის მატერიალური დაინტერესება და მეიჯარის მიერ გარკვეული მოგების მიღება. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასებში შედის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ყველა პირდაპირი დანახარჯი, კერძოდ, შრომის ანაზღაურება დანარიცხებითა და სოცდაზღვევის ანარიცხების ჩათვლით; თესლის, სარგავი მასალის, საკვების, სასუქების, შხამქიმიკატების, მედიკამენტების, საწვავ-საზეთი მასალების ღირებულება; ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია და მიმდინარე რემონტი, აგრეთვე სხვა პირდაპირი დანახარჯები.

11. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასი ამა თუ იმ პროდუქციის ერთეულზე განისაზღვრება ზემოაღნიშნული პირდაპირი დანახარჯების ჯამის გაყოფით პროდუქციის წარმოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოცულობაზე.

12. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასი იანგარიშება ორი ვარიანტით:

—ნორმატიული მეთოდით — იმ შემთხვევაში, როდესაც შემუშავებულია პროდუქციის ერთეულზე პირდაპირი საწარმოო დანახარჯების დასაბუთებული ნორმატივები. ამ პირობებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მთლიანი პროდუქციის ნორმატიული პირდაპირი დანახარჯების ჯამი იყოფა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროდუქციის მოცულობაზე;

—წინა 3-5 წლის ფაქტიური (შესადარ ფასებში გადაანგარიშებული) დანახარჯების მიხედვით — ეს წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კარგად ორგანიზებულ საწარმოებში, სადაც წარმოების პროცესი რაციონალურ-ტექნოლოგიურ საფუძველს ემყარება. ამ შემთხვევაში პირდაპირი დანახარჯები (შესადარ ფასებში გადაანგარიშებული) იყოფა ამავე წლებში ფაქტიურად წარმოებულ პროდუქციაზე (არახელსაყრელი სამეურნეო წელი უნდა გამოითიშოს).

13. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასები წესდება ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადისათვის. თუ აძ პერიოდში გამოვლინდება უზუსტობანი ან მკვეთრად შეიცვლება წარმოების პირობები, შესაძლებელია მათი კორექტირება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შეთანხმებით.

14. ხელშეკრულების ზევით მეიჯარისათვის მისაყიდ პროდუქციაზე ურთიერთშეთანხმებით შეიძლება დაწესდეს ორივე მხარისათვის მისაღები ფასი.

15. იჯარით მომუშავე შრომით კოლექტივს, საწარმოს სტრუქტურულ ერთეულს (ფერმა, ბრიგადა, საამქრო, რგოლი და ა. შ.), ოჯახს, მოქალაქეს წარმოებული პროდუქციისათვის საბოლოო ანგარიშსწორებამდე წლის განმავლობაში ეძლევა ავანსი. მისი ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

ავანსის თანხა შრომითი კოლექტივის წევრთა შორის ნაწილდება მათივე გადაწყვეტილებით.

საბოლოო შედეგებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მეიჯარისათვის პროდუქციის მიყიდვის შემდეგ. მემცენარეობაში ეს, როგორც წესი, წლის ბოლოს ხდება. მეცხოველეობაში, სადაც პროდუქცია რეგულარულად შემოდის (მაგალითად, რძე, კვერცხი), აგრეთვე მომსახურების სფეროში ანგარიშსწორება შეიძლება წარმოებდეს ყოველთვიურად.

16. მოიჯარე შრომითი კოლექტივის და ოჯახის თითოეული შრომისუნარიანი წევრი ექვემდებარება სოციალურ დაზღვევას და ამის კვალობაზე ისინი უზრუნველყოფილი არიან პენსიით (მოქმედი კანონმდებლობით).

შრომითი სტაჟი განისაზღვრება მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის შესაბამისად შრომითი ნორმატივის გამოყენებით.

17. შინასამეურნეო (სანარდო) იჯარაზე ხელშეკრულება ფორმდება საქსახგორმრეწვის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (თან ერთვის).

18. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის წინა წლებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია, თუ ის არ ეწინააღმდეგება ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

19. იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მოიჯარეს ეკრძალება ყოველგვარი არასამეურნეო დანიშნულების მშენებლობა.

20 მოიჯარე მოვალეა დაიცვას მიწის გამოყენების მოთხოვნები, არ დაუშვას ეკოლოგიური პირობების გაუარესება და მიწის ნაყოფიერების დაქვეითება, დაიცვას მიწა ეროზიისაგან და თუ მისი მიზეზით გაუარესდა მიწის ნაყოფიერება, საკუთარი ხარჯებით აღადგინოს იგი.

21. სტიქიით მიყენებული ზარალის შემთხვევაში მეიჯარე მოიჯარეს გაუწევს დახმარებას დაზღვევის არსებული წესის მიხედვით.

22. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა გამო დავას ათი დღის ვადაში განიხილავს მხარეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია. თუ კომისია ვერ გადაწყვეტს დავას, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს.

საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტი. ტიპობრივი ხელშეკრულება

იჯარით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შესახებ

ერთი მხრივ საქართველოს რესპუბლიკის . . . რაიონის . . . საწარმოს სახელით შემდგომში მეიჯარედ წოდებული)

(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

და მეორე მხრივ მოიჯარედ წოდებული . . . . . .

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

. . . ვდებ ამ ხელშეკრულებას 199 წლის . . . დან 199 წლის ვადით, 199 წლის ჩათვლით შემდეგზე:

1. მოიჯარე ვალდებულია:

1. 1. აწარმოოს და მიჰყიდოს მეიჯარეს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემდეგი ოდენობით:

პროდუქციის* დასახელება	1991 წ.	1992 წ.	1993 წ.	1994 წ.	1995 წ.	1996 წ.	1997 წ.	1998 წ.	1999 წ.	2000 წ.
1.										
2.										
3.										

1. 2. ეფექტიანად გამოიყენოს მიმაგრებული მიწის საკარგულები, პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და წარმოების სხვა საშუალებანი.

1. 3. დაიცვას ტექნიკის ექსპლოატაციის, ზოოვეტერინარული, აგროტექნიკური, უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნათა წესები. არ დაუშვას გარემოს გაჭუჭყიანება, მიწათსარგებლობის წესების დარღვევა.

14. უზრუნველყოს მიმაგრებული შენობა-ნაგებობების, მიწის, მრავალწლოვანი ნარგავების, პირუტყვის, მოწყობილობის, ტექნიკის, ინვენტარის, მასალების დანიშნულებით გამოყენება და წარმოებული პროდუქციის დაცვა.

1.5 დროულად წარუდგინოს მეიჯარეს მოთხოვნა საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურებაზე.

1.6 აუნაზღაუროს მეიჯარეს დახარჯული მატერიალური ფასეულობებისა, საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურების ღირებულება. მატერიალური ფასეულობებისა და გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა განხორციელდეს მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის ამონაგებიდან მისი დაკავებით.

1.7. მატერიალური დანახარჯების, გაწეული მომსახურების და სხვა ფასეულობათა აღრიცხვა აწარმოოს იჯარის კანონმდებლობით განსაზღვრული აღრიცხვის ფორმებით.

2. მეიჯარე ვალდებულია:

2.1. გადასცეს საინვენტარიზაციო აქტის საფუძველზე ფაქტიური ღირებულებით მოიჯარეს ხელშეკრულების მოქმედების ვადით წარმოების ძირითადი საშუალებანი. მიწა, შენობა ნაგებობანი, მრავალწლოვანი ნარგავები, პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოწყობილობა, ინვენტარი, რომელიც წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას და ირიცხება მის ბალანსზე.

2.2. მიამაგროს მოიჯარეს: სახნავი . . . ჰექტარი, სათიბი . . . ჰექტარი, საძოვარი . . . ჰექტარი, ბაღი . . . ჰექტარი, ციტრუსი . . ჰექტარი ვენახი . ჰექტარი, ჩაის პლანტაცია . . . ჰექტარი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი . . სული, მათ შორის დედა ღორი. . . სული, ცხვარი. . . სული, მათ შორის დედა ცხვარი . . სული და ა. შ.

2.3. უზრუნველყოს მოიჯარე მინერალური და ორგანული სასუქებით, კომბინირებული და სხვა საკვებით, შხამქიმიკატებით, საშენი მასალებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული რაოდენობით, შემდეგი ფასებით*:

მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა დასახელება	ზომის ერთეული	ფასი	რაოდენობა	მთლიანი ღირებულება
1. კომბინირებული საკვები				
2. მინერალური სასუქები				
3. საშენი მასალები				
4. თესლი				
5. სარგავი მასალა				
6.				
7.				

* **შენიშვნა:** ყოველწლიურად დგინდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის მოცულობა კალენდარული ვადის, სახეების, ხარისხისა და ფასების (საანგარიშსწორებო და შეთანხმებული საბაზრო) მიხედვით.

მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულება

2. 4. აღმოუჩინოს მოიჯარეს საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურება ქვემოთ მოყვანილი ფასებით*):

ტონა კმ . . . . მან.
ეტალონ ჰა . . . . მან.
მანქანა საათი . . . . მან.

2. 5. გაუწიოს უფასო კონსულტაციები მოიჯარეს აგრონომიულ, ზოოვეტერინარულ, წარმოების მოწინავე ტექნოლოგიისა და სხვა საკითხებზე.

2. 6. დროულად იყიდოს მოიჯარისაგან წარმოებული პროდუქცია და აუნაზღაუროს მისი ღირებულება 1 თვის განმავლობაში შემდეგი სახელშეკრულებო ფასებით:

№ №	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობა (მან)	ხელშეკრულებით ფასი (მან)
1.				
2.				
3.				

ფასები სტაბილურია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში და მისი გადასინჯვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა უზუსტობანი მისი დადგენის დროს ან მკვეთრად შეიცვალა წარმოების პირობები, შეიცვალა მატერიალური რესურსების ფასები. ამასთან, ყველა ცვლილება უნდა შეთანხმდეს მოიჯარესთან.

საბოლოო ანგარიშსწორებამდე ავანსად გასცეს მისაყიდი პროდუქციის ღირებულების . . . . პროცენტი.

3. 1. მოიჯარე დამოუკიდებლად წყვეტს შრომის ორგანიზაციის, წევრთა შორის შრომის ანაზღაურების, შრომისა და დასვენების რეჟიმის საკითხებს.

3. 2. მოიჯარის მიერ აგროტექნიკური და ზოოვეტერინარული მოთხოვნების დარღვევით შესრულებულ სამუშაოთა გამოსწორება ხდება მოიჯარის ხარჯზე. დარღვევის სახეს ადგენენ დარგის სპეციალისტები სათანადო აქტით.

3. 3. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერცელდება . . . . წლის ჩათვლით

3. 4. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში როგორც მოიჯარეს, ასევე მეიჯარეს აქვს პრეტენზიების წაყენების უფლება, ურთიერთშეუთანხმელობის შემთხვევაში საკითხს 10 დღის ვადაში განიხილავს მხარეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია. თუ კომისია ვერ გადაწყვეტს დავას, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახალხო სასამართლოს ან არბიტრაჟს.

3. 5. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები ოდენობის პროდუქციის მიყიდვის შემთხვევაში მეიჯარე განსაზღვრავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის დანაკლისს წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასით და გამოაკლებს საბოლოო შედეგებისათვის ანგარიშსწორების დროს. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე მოიჯარეს არ შეუსრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი, მოიჯარე მატერიალური ფასეულებისა და მომსახურების საერთო ღირებულების დანაკლისს განსაზღვრავს ასევე წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასით. ამ დანაკლისის ღირებულების გაყოფით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საანგარიშსწორებო ფასზე მიიღება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც მოიჯარემ შეუძლია შეუმციროს მეიჯარეს.

3. 6. მოიჯარის შემოსავლის ოდენობა განსაზღვრული და შეზღუდული არ არის. ხელშეკრულების ზევით წარმოებული პროდუქცია მოიჯარისაა და იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

3. 7. იჯარით მუშაობის პერიოდი მოიჯარეს ეთვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟში.

3. 8. მოიჯარის შრომითი დანახარჯები განისაზღვრება მის მიერ მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის რაოდენობიდან გამომდინარე, რომელიც იანგარიშება უკანასკნელი 3—5 წლის საშუალო მაჩვენებლებით, რაც შეადგენს 1 ცენტნერის საწარმოებლად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე . . . . კაცდღეს, ღორის ხორცზე კაცდღეს, რძეზე . . . . კაცდღეს, სიმინდის მარცვალზე . . . . კაცდღეს, ყურძენზე . . . . კაცდღეს, თესლეულზე . . . . კაცდღეს, ვან ხილზე . . . . კაცდღეს და ა. შ.

3. 9. მოიჯარის საშუალო შემოსავალი, რომლის საფუძველზეც უნდა დაენიშნოს პენსია, იანგარიშება 3.8. მუხლის მიხედვით და შეადგენს: წარმოებული და მეიჯარისათვის მიყიდული საქონლის ხორცზე . . . . მანეთს, ღორის ხორცზე . . . . მანეთს, ცხვრის ხორცზე მანეთს, რძეზე . . . . მანეთს, სიმინდის მარცვალზე მანეთს, ყურძენზე . . . . მანეთს, ხილზე მანეთს და ა. შ.

3. 10 მოიჯარესა და მეიჯარეს შორის ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში შრომითი კოლექტივის, მოიჯარის ან მეიჯარის წარდგენით.

3. 11 ხელშეკრულების პირობებს ეთანხმებიან და ხელს აწერენ მოიჯარეები (გვარი, სახელი, მამის სახელი და ხელმოწერა).

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.

3.12. ხელშეკრულება შედგენილი სამ ცალად. ორი ინახება მეიჯარესთან, ხოლო ერთი—მოიჯარესთან.

მოიჯარის სახელით ხელს აწერთ:_____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)
პასპორტის სერია . . . . №
ხელმოწერა . . . .
199.. წელი . .
(თვე და რიცხვი)
მეიჯარის სახელით: . . . .
(თანამდებობა, გვარი, სახელი მამის სახელი)
ხელმოწერა . . . .
199.. წელი . .
(თვე და რიცხვი)

* შენიშვნა: ყოველწლიურად დგინდება კალენდარული ვადის გათვალისწინებით მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა რაოდენობის მიხედვით სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო და შეთანხმებული საბაზრო) ფასი.

* შენიშვნა: ყოველწლიურად დგინდება კალენდარული ვადის გათვალისწინებით მომსახურების მოცულობის მიხედვით სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო და შეთანხმებული საბაზრო) ფასი.

რეიდმა გამოავლინა

ჯანმრთელობისათვის აუცილებელია

საზკვების ობიექტებსა და სასურსათო მაღაზიებში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. ბოლო პერიოდში რაიონის რიგ საზკვების ობიექტსა და სასურსათო მაღაზიაში შეიმჩნევა სანტექნიკური პირობების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთგვარი გაუმჯობესება, რაც ქმნის პირობებს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვისათვის.

კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ტვიშისა და ლაჯანის სასაუზმეებს, ქალაქის დიეტურ სასადილოს, ლუდის ბარს და რიგ სხვა ობიექტებს, რის შედეგად ერთგვარად გაუმჯობესდა მომხმარებელთა მომსახურების კულტურა, სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხო კვების მდგომარეობა.

როგორც ამ დღეებში მოწყობილმა რეიდებმა გვიჩვენა, საზკვების ზოგიერთ ობიექტში, ორბელისა და ალპანის სასურსათო მაღაზიებში კვლავ ირღვევა სანჰიგიენური წესები, სანეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმები და ტექნოლოგიური პროცესები.

ალპანის სასადილოში, მის სამზარეულოში კეთილმოწყობას საჭიროებს ჭურჭლის სამრეცხაო, თეფშები, კოვზები, ჭიქები უხარისხოდ ირეცხება. არ მუშაობს წყლის გამაცხელებელი, არ აქვთ სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები, საკმარისი რაოდენობით მარკირებული ინვენტარი. არ არის ორგანიზებული პროდუქტთა პირველადი დამუშავების განყოფილება. დარღვეულია ტექნოლოგიურ პროცესთა ნაკადურობა, შემოწმების მომენტში სამზარეულოში იყო 5—6 გარეშე პირი, რაც სანიტარული წესების უხეში დარღვევაა.

ორბელისა და ალპანის სასურსათო მაღაზიებში არ არის დაცული სანიტარული ნორმები. შენობები საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას. ალპანის სასურსათო მაღაზიის იატაკი და ჭერი ამორტიზებულია, აღნიშნულ ობიექტებში გაძნელებულია სანიტარული წესების დაცვა. სასაწყობო ფართის უკმარისობის გამო პროდუქტების შენახვის წესი არ არის დაცული.

საზკვების თითქმის ყველა ობიექტში მეტნაკლებად ირღვევა დაგვა-დასუფთავების ეპიდემიოლოგიური რეჟიმი. სანკვანძების, იატაკის, ინვენტარის, ჭურჭლის რეცხვის წესები, არ იყენებენ სადეზინფექციო და გასარეცხ საშუალებებს, ბევრგან არადამაკმაყოფილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ჭურჭლის სამრეცხაოები, არ არის ორგანიზებული პროდუქტთა პირველადი დამუშავების სათავსოები. არსებული უწესრიგობანი განაპირობებენ კვების ულუფების მომზადების პროცესთა და უსაფრთხო კვების ეპიდემიოლოგიური რეჟიმის დარღვევას, რაც საშიშია ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და სასურსათო მაღაზიებში მომუშავე პერსონალის უმრავლესობა ხშირად არაფრად აგდებს პირადი ჰიგიენის წესების დაცვას. ზოგი მათგანი წვერგაუპარსავი, ჭუჭყიანი ხალათით და თავსაბურავის გარეშე მუშაობს პროდუქტებთან. მართალია, ყველა ობიექტში არის დაწესებული სანიტარული დღე, მაგრამ ბევრგან ის ფორმალურ ხასიათს ატარებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანთა დაავადებების უმეტესობის წარმოშობა საზკვებისა და კვების პროდუქტების სარეალიზაციო მაღაზიებში სანიტარული წესების დაუცველობაშია, ამიტომ რაიკოოპერატივისა და საზკვების გაერთიანების ხელმძღვანელებმა უსწრაფესი ზომები უნდა გაატარონ საზკვების ობიექტებსა და კვების პროდუქტების სარეალიზაციო მაღაზიებში სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დამყარებისათვის.

ჯ. ყვირილიანი,
ცაგერის რაიასანეპიდსადგურის მთავარი ექიმი

ვ. დავითულიანი,
გაზეთ „ლეჩხუმის“ კორესპონდენტი.

სიტყვა საქმიანი

ქალაქის იერსახეზე, მის კოლორიტზე, წესრიგზე ხშირად ვიტკივებთ თავს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ნუ გვეწყინება და ერთეულების გარდა არა გვაქვს შინაგანი კულტურა და შეგნება იმისა, რომ ადგილი, სადაც ვსუნთქავთ, ვცხოვრობთ და სიკვდილსაც აქ ვაპირებთ, ლამაზად გამოიყურებოდეს, ცოტათი მაინც დაემსგავსოს ქალაქს.

ამჯერად რა გვინდა ვთქვათ: ბაზრის ბოლოს, 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლის უკან, საერთო ხედს, სანაპიროსაკენ მიმავალ ქუჩას აუშნოებს პირდაპირ ქუჩის პირას დადგმული პატარ-პატარა საქათმეები, აუშნოებს და რაღა თქმა უნდა, აბინძურებს.

რატომ? ამ საქათმეების მეპატრონეები ერთ-ორ ქათამზე თვალის დაუხამხამებლად გაცვლიან ქალაქის მთელ ღირსებას, სილამაზეს და იმიტომ.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

განცხადება

1991 წლის 1 თებერვლიდან სარაიონო კულტურის სახლში გაიხსნება ჭრა-კერვისა და მღივან-მემანქანეობის შემსწავლელი წრე.

ცაგერის სარაიონო კულტურის სახლის დირექცია.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**დალი გედას ასულ ახვლედიანს
მირზა ავთანდილის ძე ხეცურიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და სიხარული დაგებედოთ. მრავალი შვილი შეგძინოთ ერის საკეთილდღეოდ.

ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

გილოცავთ

**თაიდი სალინაძეს, ვალერი მუშკუდიანს
თინა, მიხეილ მუშკუდიანებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. კვლავ მრავალ სიხარულს აემაღლებინოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი.

ეენია ბობოხიძე, ბახვა კოპალიანი, გოგი გოლეთიანი ოჯახებით.

**ნორა აკობიძეს
ჯემალ ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

თამარ გუგავა, რობინზონ, ქეთინო, მანანა კვირკაშვილები.

ნათელა, ზაურ სალინაძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქართველი ქალი.

უახლოესი მეზობლები დესნა სილაგაძე, გრიშა სალინაძე, სევერიან, შოთა კოპალიანები, დემურ, კარლო ჩაკვეტაძეები, თამაზ, სოზარ ბენდელიანები, ბორის, დათო ხეცურიანები, მურთაზ ჩაკვეტაძე, შოთა კოპალიანი, ნუშარ ხვადაგიანი, ანზორ ტვილდიანი, მიშა ფოჩხიძე, გივი ბენდელიანი ოჯახებით.

მეუღლე ყორა, შვილი მერაბი, რძალი ზარინე, შვილიშვილები ლელა, გიორგი, ბერდია; ძმა შიო, დები საშა, ოლია, თამარ ლაჭყეპიანები, მაზლი გრიშა ახვლედიანი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა დომენტის ასული ლაჭყეპიანი-ახვლედიანი.

დაკრძალვა 7 თებერვალს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

გელა ხვადაგიანი, ზურაბ ჩიქოვანი, ავთანდილ უგრეხელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი ახვლედიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამარა ჭილვარიას მამიდის

ვასასი ჭილვარიას

გარდაცვალების გამო

რაისაავადმყოფო პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნაზი გოგიძეს დედის

ნადია კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კინოფიკაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვაჟა კვირკაშვილს და ნანა ბატიაშვილს მამისა და მამამთილის

გრიშა კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვალიდა გოგიძეს დედის

დუდუშა მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო სვანიძეს მამამთილის

ვალიკო შკუბულიანის

გარდაცვალების გამო.

გურამ ლიპარტელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლილი ლეთოდიანი-ლიპარტელიანი.

დედა შუქურა, მამა ანზორი, და ციცინო, ძმა ბახვა, რძალი ციცინო, ბებია თამარი ბიძები თემური, ზაური, მამიდა ცირა, სიძეები ბუჭუ ბენდელიანი, გურამ თვარაძე, ძმისშვილი ესმა, დისშვილი თორნიკე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

დაკრძალვა 7 თებერვალს, ხუთშაბათს სოფ. ზუბში.

რაისაავადმყოფოს ინფექციური განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირა ლიპარტელიანს

ლილი ლეთოდიანი-ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

სპორტკომიტეტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მალაქი ლიპარტელიანს მეუღლის

ლილი ლეთოდიანი-ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

გურამ, როსტომ შკუბულიანები, გენური ახვლედიანი, გრიგოლ სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ლია, გრიშა შკუბულიანებს დედისა და სიდედრის

ნადიას

გარდაცვალების გამო.

ბადრი, ბონდო სალინაძეები, ჯემალ ლიპარტელიანი, გენადი ხმელიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ თენგიზ ახვლედიანს ბებიის

ვასასი ჭილვარია-კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

დადაში ბენიძე ოჯახით თანაუგრძნობს დალი, ომარ ბურჯალიანებს მამისა და სიმამრის

ვალიკო შკუბულიანის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები გივი სილაგაძე, ამბროსი, რობერტ კოპალიანები, მურთაზ, მიხდონ ბენდელიანები, თენგიზ ჩიქოვანი, ბონდო ლეთოდიანი, თემურ ლიპარტელიანი, ბორის დაშნიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი ლეთოდიანი-ლიპარტელიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლუდუკი ხეცურიანი, გივი ბენდელიანი, გელა, ნოდარ, თამაზ სალინაძეები, ყორა, რეზო ლეთოდიანები, მარო, შოთა კოპალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლია გრიშა შკუბულიანებს დედისა და სიდედრის

ნადია თუთისანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები გივი, სოსო ლეთოდიანები, ტარიელ კოპალიანი, იური, ვაჟა, გრიშა ბენდელიანები, შურა ბერიძე, ზაურ მუშკუდიანი, ზაურ ჩიქოვანი, ლუდუკი ბენიძე, გერონტი ცვარიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი გრიგოლის ასული ლიპარტელიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ნუნუ მეშველიანი თანაუგრძნობენ თეა კიზირიას ბებიის

დუდუშა მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თემურ ახვლედიანს ბებიის

ქისასი კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

დოდო, ნოდარ ნემსაძეები, შურა ლაჭყეპიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბარდნალის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი რუსიკო ლაჭყეპიანი თანაუგრძნობენ თენგიზ ხეცურიანს ბებიის

ივდითი ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნური ხეცურიანს ბებიის

ივდითი ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სამუსიკო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნივრა ყურაშვილს ბიძის

ვალიკო შკუბულიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ბაბი გოგიძეს რძლის

დუდუშა მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ აზა ლიპარტელიანს დედის

ლილი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ჩხუტელის საშუალო სკოლის 1979 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მაიზერ კვირკაშვილს მამის

გრიშა სამსონის ძე კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ცირა, მანანა გოგიძეები, ნანული სილაგაძე, ლია ლიპარტელიანი, დინარა მდივანი, მზია ყვირილიანი თანაუგრძნობენ ვაჟა, ნანა კვირკაშვილებს მამისა და მამამთილის

გრიშა კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ბორია მურცხვალაძე, დემურ ონიანი, ვახტანგ, ნოდარ ახვლედიანები, ბიჭიკო ბახსოლიანი, კუჭიკო გუგავა, პაატა ხეცურიანი, ვახტანგ სალინაძე, ზაურ მანაგაძე, ბონდო ჩანქსელიანი, მათიკო გუგავა, გურამ ნემსაძე, შუქური ყუბუსიძე, რამაზ ახვლედიანი, გოდერძი ყურაშვილი, მირმან შკუბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანა, ვაჟა კვირკაშვილებს მამამთილისა და მამის

გრიშა სამსონის ძე კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სამუსიკო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს მზია ცხადაიას ბებიის

ვასასი ჭილვარიას

გარდაცვალების გამო.

ელგუჯა, შურმან, ბორის, ავთო ბენდელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

ჯონი ხელიანი, თამაზ, რამაზ კოპალიანები, თამაზ ჩაკვეტაძე, სოზარ კვირკაშვილი, ზაზა, იაგო ყურაშვილები, ზურაბ ჯამბურიძე, გიგლა ლეთოდიანი, ვახტანგ სალინაძე, ლევან ბერიძე, შამილ ლარცულიანი, ვაჟა სალინაძე ზაურ ბენდელიანი, რეზო შკუბულიანი, მურადი მუკბანიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მირზა ლიპარტელიანს დედის

ლილი ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

დები ეუეუნა, თინა, ნანული, ძმა ვალერი სიძე სეით ლეთოდიანი, დისშვილები ჯონდო, ელისო ბურჯალიანები, [illegible] ირა, გოჩა დაშნიანები, მამიდა მაიკო, [illegible] იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯიმშერ სოლომონის ძე მეშველიანი.

დაკრძალვა 3 თებერვალს, კვირას, სოფ. ჩხუტელში.

ცაგერის რაი-ცენტრის აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუბა ჭილვარიას დის

ვასასი ჭილვარიას

გარდაცვალების გამო.

სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ლეთოდიანს ბიძაშვილის

ლილი გრიგოლის ასული ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

კაკო ბენდელიანი, შოთა, გურამ, ამირან, ანზორ, შიო, მურმან ლეთოდიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი გრიგოლის ასული ლეთოდიანი.

ცაგერის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საშა ახვლედიანს დედის

ვასასი კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ორბელის საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ თინა მეშველიანს და ჯონდო ბურჯალიანს ძმისა და ბიძის

ჯიმშერ მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ როზეტა ლეთოდიანს ბიძაშვილის

ლილი ლეთოდიანი-ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები შოთა, მურადი, თამაზ ლიპარტელიანები, კუკური, ნოდარ კოპალიანები, თენგიზ მდივანი, სოსო ჩარკვიანი, სოზარ კვირკაშვილი, მურმან, ავთო, ამირან სალინაძეები, ბუჭუ ბენდელიანი, ენგელი აფრიდონიძე, ყორა გოლეთიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი გრიგოლის ასული ლეთოდიანი-ლიპარტელიანი.

ცაგერის საშუალო სკოლის 1975 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ აზა ლიპარტელიანს დედის

ლილი ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1975 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მერაბ ახვლედიანს დედის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ყორა ახვლედიანს მეუღლის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

ლევან ნემსწვერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი-ახვლედიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.